კავკასიის უნივერსიტეტი

კავკასიის მედიის სკოლა

საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	სტრატეგიული კომუნიკაცია
საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება ინგლისურ ენაზე	Strategic Communication
უმაღლესი აკადემიური განათლების საფეხური	მაგისტრატურა
საგანმანათლებლო პროგრამის ტიპი	აკადემიური
სწავლების ენა	ქართული
მისანიჭებელი კვალიფიკაცია, კოდი	
ქართულად:	საზოგადოებასთან ურთიერთობის მაგისტრი (0414)
ინგლისურად:	Master in Public Relations (0414)
პროგრამის დამტკიცების თარიღი	ბრძანება N01/05-111; 07/08/2009
პროგრამის განახლების თარიღი	ბრძანება N01/05-111; 07/08/2009 ბრძანება N01/01-24; 27/09/2012 ბრძანება N01/01-18; 25/01/2014 ბრძანება N 01/01-30; 19/02/2019 ბრძანება N 01/01-22; 14/04/2020 ბრძანება N01/01-44 02.07.2021 ბრძანება N01/01-15; 08.04.2022
პროგრამის ხელმძღვანელი და თანახელმძღვანელი	ხელმძღვანელი: **გიორგი ჯოლოგუა** ასოცირებული პროფესორი
პროგრამის მოცულობა კრედიტებით	

სტრატეგიული კომუნიკაციის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა მოიცავს 120 ECTS კრედიტს. I წელიწადი - 60 კრედიტი, II წელიწადი - 60 კრედიტი. შესაბამისად, სამაგისტრო პროგრამის სტანდარტული ხანგრძლივობა შეადგენს 2 წელს. სასწავლო წელი აგებულია სემესტრული პრინციპით და მოიცავს პირველ (შემოდგომის) და მეორე (გაზაფხულის) სემესტრებს. თითოეული სემესტრი მოიცავს 30 კრედიტს.

საჭიროების შემთხვევაში დაშვებულია ზაფხულის სემესტრის ორგანიზება, თუმცა სტუდენტმა მხედველობაში უნდა მიიღოს ის გარემოება, რომ მას არ აქვს უფლება ერთი სასწავლო წლის განმავლობაში მოიპოვოს 75 ECTS კრედიტზე მეტი.

1 ECTS კრედიტი უდრის 25 საათს, რაც მოიცავს, როგორც მაგისტრანტის საკონტაქტო დატვირთვის დროს (ლექცია, სემინარი, გამოცდა და სხვა), ასევე მისი დამოუკიდებელი მუშაობისათვის განკუთვნილ დროს.

სტრატეგიული კომუნიკაციის საგანმანათლებლო პროგრამის კომპონენტები:

- ძირითადი სწავლის სფეროს სავალდებულო კომპონენტი: 56 ECTS;
  - კომუნიკაციის ფსიქოლოგია
  - მარკეტინგი
  - მენეჯმენტის კონცეფციები: თეორია და პრაქტიკა
  - ბრენდის შექმნა და მართვა
  - CSR და ორგანიზაციული კომუნიკაცია
  - სტრატეგიული კომუნიკაცია
  - ციფრული კომუნიკაცია
  - პროექტების მართვა
  - კრიზისული კომუნიკაციების მართვა
- ძირითადი სწავლის სფეროს არჩევითი კომპონენტი: 23 ECTS;
  - ვიზუალური კომუნიკაცია
  - მონაცემთა ანალიზი და ვიზუალიზაცია
  - რეკლამის თეორია და პრაქტიკა
  - პოლიტიკური კომუნიკაცია
  - ინტერკულტურული კომუნიკაცია
  - საინფორმაციო ოპერაციები და სტრატეგიული კომუნიკაცია
  - მედიასთან ურთიერთობა
  - ღონისძიებების დაგეგმვა და მართვა
  - ბრენდის ჟურნალისტიკა
  - პროგრამული ენა კომუნიკაციაში
  - საველე პრაქტიკა
- თავისუფალი სავალდებულო კომპონენტი: 11 ECTS;
  - აკადემიური წერა 5
  - კვლევის მეთოდები და კვლევები მედიაში 6

- კვლევის მოდულს: 30 ECTS;
  - სამაგისტრო ნაშრომის შესრულება და დაცვა

მოდულებში საგნების თანმიმდევრობა ემსახურება პროგრამით დასახული მიზნების მიღწევას და სტუდენტის მიერ დარგში ღრმა ცოდნის, ეფექტური პრაქტიკული უნარების, ავტონომიურობისა და პასუხისმგებლობის განვითარებას.

პროგრამაზე დაშვების წინაპირობა

კავკასიის მედიის სკოლის სტრატეგიული კომუნიკაციის სამაგისტრო პროგრამაზე დაშვების წინაპირობაა ბაკალავრის ხარისხი, საერთო სამაგისტრო გამოცდის შედეგები, ინგლისური ენის B2 დონის დამადასტურებელი დოკუმენტი და შიდასაუნივერსიტეტო გასაუბრება კომისიასთან. სამაგისტრო გამოცდების ჩატარებას უზრუნველყოფს საჯარო სამართლის იურიდიული პირი – გამოცდების ეროვნული ცენტრი. უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში ჩარიცხვის ზოგადი წესიდან გამონაკლისი დაიშვება მხოლოდ კანონით დადგენილ შემთხვევაში. შიდასაუნივერსიტეტო გამოცდა (გასაუბრება) ტარდება კავკასიის მედიის სკოლის საბჭოს მიერ დადგენილი წესის მიხედვით. შიდასაუნივერსიტეტო გამოცდის შეფასების კრიტერიუმები და პროგრამაზე ჩარიცხვისათვის აუცილებელი ინფორმაცია წინასწარ თავსდება უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე.

სხვა უმაღლესი სასწავლებლიდან სტუდენტის კავკასიის მედიის სკოლის სტრატეგიული კომუნიკაციის სამაგისტრო პროგრამაზე გადმოსვლის სურვილის შემთხვევაში, საკითხს შეისწავლიან და საბოლოო გადაწყვეტილებას იღებენ პროგრამის ხელმძღვანელი და სკოლის დეკანი. მათ მიერ შეთანხმებლული შესაბამისობის საფუძველზე სტუდენტის ჩარიცხვა ხდება უნივერსიტეტის პრეზიდენტის ერთიანი ბრძანებით.

პროგრამის საკვალიფიკაციო დახასიათება	
პროგრამის მიზანი	სტრატეგიული კომუნიკაცია, როგორც დარგი, რამდენიმე ათეული წელია განსაკუთრებით განვითარდა. მასზე მნიშვნელოვნად გახდა დამოკიდებული სხვადასხვა სფეროში მომუშავე კომპანიებისა თუ პირების წარმატება. დარგის განვითარებისა და ამ სფეროს სპეციალისტებზე გაზრდილი მოთხოვნის პარალელურად, კავკასიის მედიის სკოლა მიზნად ისახავს სტარტეგიული კომუნიკაციის სპეციალისტების - ამ სფეროს კვალიფიციური წარმომადგენლების მომზადებას. სტრატეგიული კომუნიკაციის სამაგისტრო პროგრამის მიზნებია: **მიზანი N1:** კურსდამთავრებულს ჰქონდეს სტრატეგიული კომუნიკაციის თეორიული, სისტემური და სიღრმისეული ცოდნა. **მიზანი N2:** კურსდამთავრებულს ჰქონდეს პრაქტიკული უნარები სტრატეგიული კომუნიკაციის სფეროში სამუშაოდ: შეძლოს სტრატეგიული საკომუნიკაციო დოკუმენტის შემუშავება, აღსრულება და მონიტორინგი, ინტეგრირებული მარკეტინგის, მედიასთან ურთიერთობების, ციფრული მედიის, რეკლამისა და მენეჯმენტის ცოდნის საფუძველზე. **მიზანი N3:** კურსდამთავრებულს ჰქონდეს მენეჯერული უნარები, შეძლოს იყოს ლიდერი გუნდში; ჰქონდეს უნარი, რომ სწრაფად ადაპტირდეს სფეროში არსებულ სიახლეებთან, დანერგოს და განავითაროს კრეატიული იდეები. **მიზანი N4:** კურსდამთავრებულს ჰქონდეს კვლევის წარმოებისა და შედეგების ანალიზის თეორიული ცოდნა და პრაქტიკული უნარები. **მიზანი N5:** კურსდამთავრებულს გააზრებული ჰქონდეს საზოგადოების წინაშე არსებული ვალდებულებები და პასუხისმგებლობები, რასაც სფეროში არსებული გამოწვევები მას აკისრებს. იცოდეს მისი, როგორც სტრატეგიული კომუნიკაციების სპეციალისტის როლი დემოკრატიული საზოგადოების განვითარების პროცესში. პროგრამის მიზანი სრულ თანხვედრაშია უნივერსიტეტის მისიასთან, სკოლის მიზნებსა და სტრატეგიასთან.

პროგრამის სწავლის შედეგები	პროგრამა ამზადებს სფეროს ფართო პროფილის სპეციალისტებს, რომლებსაც პროგრამის დასრულების შემდეგ ექნებათ მისი მიზნების შესაბამისი ცოდნა, უნარები, პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა: **შედეგი N1:** კურსდამთავრებული იყენებს სტრატეგიული კომუნიკაციის სფეროს ღრმა და სისტემურ ცოდნას, აცნობიერებს სფეროში არსებულ გამოწვევებს, სწრაფად იაზრებს და იყენებს ნოვაციებს. **შედეგი N2:** კურსდამთავრებული გამოიმუშვებს კომუნიკაციის სფეროს სპეციალისტისთვის საჭირო ყველა კომპეტენციას, მათ შორის: მაღალ დონეზე, აკადემიური წერის სტანდარტების სრული დაცვით, ქმნის საჭირო დოკუმენტებსა და ვერბალურ თუ ვიზუალურ პრეზენტაციებს. **შედეგი N3:** კურსდამთავრებული მაღალი პროფესიული სტანდარტით გეგმავს, აღასრულებს და აფასებს პიარ კამპანიებს. ამისთვის ის კომპლექსურად და სიღრმისეულად აანალიზებს კომუნიკაციის სფეროს მახასიათებლებს. მედიასთან ურთიერთობის, მარკეტინგის, ციფრული მედიისა და რეკლამის სფეროების ცოდნასა და საჭირო პრაქტიკულ უნარებს იყენებს სხვადასხვა სექტორისთვის: პოლიტიკისთვის, ბიზნესისთვის, არასამთავრობო ორგანიზაციებისთვის და ა.შ. **შედეგი N4:** კურსდამთავრებულს უყალიბდება სფეროში მომუშავე მენეჯერისთვის საჭირო უნარები, მათ შორის: უძღვება და მართავს პროექტებს; სწრაფად იღებს გადაწყვეტილებებს, ითვალისწინებს და შეიმუშავებს ნოვატორულ, ორიგინალურ და კრეატიულ იდეებს. **შედეგი N5:** კურსდამთვრებული გეგმავს და ახორციელებს აკადემიურ კვლევას - აწარმოებს როგორც რაოდენობრივ, ასევე თვისებრივ კვლევას და ამ ცოდნას იყენებს პრაქტიკაში; ასევე, აანალიზებს სხვისი კვლევის შედეგებს და იყენებს მათ სტრატეგიულ საკომუნიკაციო დოკუმენტზე მუშაობისას. **შედეგი N6:** კურსდამთავრებული აანალიზებს, იზიარებს და იცავს სტრატეგიული კომუნიკაციის სფეროსა და პროფესიაში არსებულ ღირებულებებსა და ნორმებს; თავისი საქმიანობით ის ხელს უწყობს დემოკრატიული ღირებულებების დანერგვასა და პოპულარიზაციას, საკუთარი წვლილი შეაქვს ღია საზოგადოების ჩამოყალიბებაში.
დასაქმების სფეროები	პროგრამის კურსდამთავრებულს შეეძლება დასაქმდეს როგორც სტრატეგიული კომუნიკაციისა და საზოგადოებასთან ურთიერთოებების სფეროში, ასევე კომუნიკაციის მომიჯნავე მიმართულებებშიც - მარკეტინგში, სარეკლამო სფეროში. ასევე, პროფილურ კვლევით პროექტებსა და ორგანიზაციებში. კურსდამთავრებულს ექნება შესაბამისი ცოდნა, უნარები, ავტონომიურობა და პასუხისმგებლობა, რომ იმუშაოს საჯარო დაწესებულებებშიც, კერძო კომპანიებშიც, ადგილობრივ არასამთავრობო და საერთაშორისო ორგანიზაციებშიც. ასევე, პიარ და მარკეტინგულ კომპანიებში, სარეკლამო სააგენტოებსა და პროექტებში.
სწავლის გაგრძელების შესაძლებლობა	სამაგისტრო პროგრამის კურსდამთავრებულს უფლება აქვს სწავლა განაგრძოს სადოქტორო პროგრამაზე, რომელიც ორიენტირებულია შემდგომი დონის მკვლევარის მომზადებაზე.

პროგრამის სასწავლო გეგმა

(მოდულების, სასწავლო კურსების, შესაბამისი კრედიტების მითითე

№	საგნის კოდი	წინაპირობა	საგანი\ მოდული	
			ძირითადი სწავლის სფეროს სავალდებულო კომპონენტი	
1	PSYC 5131	არ აქვს	კომუნიკაციის ფსიქოლოგია	
2	MARK 5230	არ აქვს	მარკეტინგი	
3	MENG 5232	არ აქვს	მენეჯმენტის კონცეფციები: თეორია და პრაქტიკა	
4	MARK 5331	MARK 5230	ბრენდის შექმნა და მართვა	
5	PR 5234	არ აქვს	CSR და ორგანიზაციული კომუნიკაცია	
6	PR 5132	არ აქვს	სტრატეგიული კომუნიკაცია	
7	MARK 5231	არ აქვს	ციფრული კომუნიკაცია	
8	MENG 5131	MENG 5230	პროექტების მართვა	
9	PR 5331	არ აქვს	კრიზისული კომუნიკაციის მართვა	
			ძირითადი სწავლის სფეროს არჩევითი კომპონენტი	
10	COMM 5231	არ აქვს	ვიზუალური კომუნიკაცია	
11	DATA 5231	არ აქვს	მონაცემთა ანალიზი და ვიზუალიზაცია	
12	ADV 5231	MARK 5230	რეკლამის თეორია და პრაქტიკა	
13	PR 5133	PR 5132	პოლიტიკური კომუნიკაცია	
14	MCOM 5333	არ აქვს	ინტერკულტურული კომუნიკაცია	
15	STRC 5231	არ აქვს	საინფორმაციო ოპერაციები და სტრატ. კომუნიკაცია	
16	PR 5134	არ აქვს	მედიასთან ურთიერთობა	
17	PR 5235	არ აქვს	ღონისძიებების დაგეგმვა და მართვა	
18	MARK 5131	არ აქვს	ბრენდის ჟურნალისტიკა	
19	JRMA 0003	არ აქვს	საველე პრაქტიკა	
20	MCOM 5233	არ აქვს	პროგრამული ენა კომუნიკაციაში	
			თავისუფალი კომპონენტი (სავალდებულო)	
21	GEO 5131	არ აქვს	აკადემიური წერა	
22	MCOM 5135	GEO 5130	კვლევის მეთოდები და კვლევები მედიაში	
			კვლევის მოდული (სავალდებულო)	
23	MCOM 5136	MCOM 5131	სამაგისტრო ნაშრომის შესრულება და დაცვა	
		ECTS კრედიტები	სემესტრში	

№	საგნის კოდი	წინაპირობა	საგანი\ მოდული